ელექტრონული საგადახდო დავალება No 5645

Transfer Order No 5645

საქართველოს ბანკი

თარიღი/Date: 04/09/2025 | რეფერენს ნომერი/Reference number: 29136631869 | შესრულებულია/Completed

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator: სს ნიუ დეველოპმენტი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit): GE02BG0000000498992151GEL

თანხა/Amount: 15,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank: სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code: BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words: თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name: სს ნიუ დეველოპმენტი

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer: 405375277

საკომისიო/Commission: 10.00 GEL

მიმღების დასახელება/Recipient: ქ. თბილისი - შემოსავალი საწყიბიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code: 300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank:

მიმღების ბანკი/Recipient Bank: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code: TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank: 04/09/2025

გადახდის დანიშნულება/Description: დადგენილება N 003315 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info:

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შექმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ელექტრონული საგადახდო დავალება No 5645

Transfer Order No 5645

საქართველოს ბანკი

თარიღი/Date: 04/09/2025 | რეფერენს ნომერი/Reference number: 29136631869 | შესრულებულია/Completed

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator: სს ნიუ დეველოპმენტი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit): GE02BG0000000498992151GEL

თანხა/Amount: 15,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank: სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code: BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words: თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name: სს ნიუ დეველოპმენტი

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer: 405375277

საკომისიო/Commission: 10.00 GEL

მიმღების დასახელება/Recipient: ქ. თბილისი - შემოსავალი საწყიბიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code: 300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank:

მიმღების ბანკი/Recipient Bank: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code: TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank: 04/09/2025

გადახდის დანიშნულება/Description: დადგენილება N 003315 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info:

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შექმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

№4-1/ი1465-25
"19" 08 2025 წ.

დადგენილება №003298
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

19.08.2025წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა, გოგი ჩიქოვანმა, განვიხილე, 2025 წლის 19 აგვისტოს №003298 შემოწმების აქტი შედგენილი სს „ნიუ დეველოპმენტი"-ს (ს/კ40537277 მის.: ქ. თბილისი ვაკის რაიონი ვაჟა-ფშაველას გამზ. №70;). ი.ბ.ა „ოლიმპიური ვარსკვლავი" ქ.თბილისი ქუჩა შარტავა №43 (ნაკვეთი №15/69) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, ქუჩა შარტავა №43 (ნაკვეთი №15/69) №01.10.13.015.069 საკადასტრო კოდზე, სს „ნიუ დეველოპმენტი"-ს და ი.ბ.ა „ოლიმპიური ვარსკვლავი"-ს მიერ, განხორციელებულ იქნა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის („ა" ბლოკის „ა" და „ბ" კორპუსი) მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06.08.2024წ. №7168145 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: **ა" ბლოკის „ბ" კორპუსი** - არ არის დასრულებული სამშენებლო სამუშაოები,ნაწილობრივ შეცვლილია ბინების რაოდენობა; -6.40 ნიშნულზე ოთხი ლიფტის მაგივრად ხდება ორი ლიფტით მოხვედრა, ბ5 და ბ-კ ღერძების კვეთასთან კოლონასთან დამატებით მოწყობილია მონოლითური კედელი. +32.55 ნიშნულიდან ვხვდებით ბ1-ბ2 მონაკვეთში მდებარე კიბის უჯრედზე, ბ5 ღერძზე ბ-კ – ბ-I მონაკვეთში გაუქმებულია კარის ღიობი

„ა" ბლოკის „ა" კორპუსი:

მონოლითური და სამშენებლო ბლოკის კედლები დაფერილია ერთ ფერში, რის გამოც ვერ ხერხდება კედლების მასალის იდენტიფიცირება. შეცვლილია ბინების რაოდენობა. "ე" და "5" ღერძების კვეთასთან შეცვლილია აივნის გაბარიტი. ფასადებზე დამატებით მოწყობილია გამწოვი მილებისთვის განკუთვნილი ღიობები და გამწოვი მილები. ფასადებზე ხის დეკორატიული

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ძელების ნაცვლად მოწყობილია ხის ფაქტურიანი პანელები. გეგმა -6.60 ნიშნულზე: პერიმეტრის კედლებში დამატებით მოწყობილია ღიობები “ა” და “ბ” ბლოკის პარიკირებებს შორის დამაკავშირებელი. “4” ღერძზე “პ-ო” მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კედელი. “1” და “8” ღერძებზე რიგელების ნაწილი არ ფიქსირდება. გეგმა -3.30 ნიშნულზე: “ო-პ” მონაკვეთში სამანქანო პანდუსის დახრა შეადგენს 17-23 პროცენტს. გეგმა ±0.00 ნიშნულზე: კომერციულ ფართებში არ არის მოწყობილი ანტრესოლები და მათთვის განკუთვნილი კიბეები. შეცვლილია სართულის სიმაღლე. “6-7” მონაკვეთში “7” ღერძის მიმდებარედ ვიტრაჟში დამატებით მოწყობილია გამყოფი კედლები. “6” ღერძზე “დ-გ” მონაკვეთში ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია კედელი. “9” ღერძის მიმდებარედ “პ-მ” მონაკვეთში შეცვლილია კედლების გაბარიტი. “კ-ლ” მონაკვეთში “1” ღერძის მიმდებარედ კედელში დამატებით მოწყობილია ვიტრაჟი. “ა” ღერძის მიმდებარედ გაზრდილია პერიმეტრის კედელსა და კოლონებს შორის მანძილი. “დ-ბ” მონაკვეთში “ა” ღერძის მიმდებარედ ვიტრაჟზე მოწყობილ პანელს მონაცვლებული აქვს ადგილი. ხოლო “ე” და “ზ” ღერძების მიმდებარედ პანელები არ არის მოწყობილი. გეგმა +9.30 ნიშნულზე: “თ-ზ” “1-2” მონაკვეთში ფილაზე და რიგელზე დარღვეულია ბეტონის საფარის მთლიანობა. გეგმა +12.75 ნიშნულზე: “4” და “ე” ღერძების მიმდებარედ პერიმეტრის კედლებზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები. გეგმა +121.65 ნიშნულზე: “ე-ბ” “6-8” მონაკვეთში მდებარედ საზაფხულო ფართზე კონსტრუქციის მასალა ლითონის სვეტები და პერგოლები არ არის დაფერილი განსხვავებულ ფერში (დაფერილია მონოლითური სვეტების ფერში). გეგმა +124.94 ნიშნულზე: დამატებით მოწყობილია სავენტილაციო დანადგარები. “ე” ღერძის მიმდებარედ “3-4” მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სავენტილაციო შახტები. კიბის უჯრედის ოთახებში დამატებით მოწყობილია კოლონები. სამანქანო ოთახებისთვის განკუთვნილი კიბეები და ღიობები გაუქმებულია და თითო უჯრედში მოწყობილია ერთი საერთო კიბე ბაქნით. კიბის უჯრედებში და ლიფტის შახტებში არ არის სრულად მოწყობილი სავენტილაციო შახტები. “კ-მ” მონაკვეთში შეცვლილია კიბის უჯრედის ოთახის გაბარიტი. და გაუქმებულია კარი “3”” და “კ” ღერძების კვეთასთან. “ა-პ” ფასადი: “კ-ლ” მონაკვეთში ფასადის სიბრტყიდან იკვეთება ფილის კონტურები. +12.75 ნიშნულზე “კ” ღერძის მიმდებარედ ღიობში ლითონის ცხაურას ნაცვლად მოწყობილია ლითონის გისოსი. “1-9” ფასადი” “5” ღერძის მიმდებარედ შეცვლილია ფასადის მოპირკეთების მასალა და ფერი. “9-1” ფასდი: +16.05 ნიშნულზე “6-5” მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კონდიციონერი. “პ-ა” ფასადი: “კ-ი” მონაკვეთში +52.35 ნიშნულზე აივანი შემინულია. +22.65 ნიშნულზე “ლ-კ” მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კონდიციონერი. “თ” ღერძის მიმდებარედ გაუქმებულია დეკორატიული ელემენტები

2025 წლის 19 აგვისტოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №003298 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.” საქმეშია, მხარის 2025 წლის 9 ივნისის №10/0125160748-17 და 2025 წლის 19 აგვისტოს №10/01252313017-17 განცხადებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სს „ნიუ დეველოპმენტი”-ს და ი.ბ.ა „ოლიმპიური ვარსკვლავი”-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო

საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ქუჩა შარტავა №43 (ნავეთი №15/69) №01.10.13.015.069 საკადასტრო კოდზე, განხორციელებულ იქნა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის („ა" ბლოკის „ა" და „ბ" კორპუსი) მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06.08.2024წ. №7168145 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: **ა" ბლოკის „ბ" კორპუსი** - არ არის დასრულებული სამშენებლო სამუშაოები,ნაწილობრივ შეცვლილია ბინების რაოდენობა; -6.40 ნიშნულზე ოთხი ლიფტის მაგივრად ხდება ორი ლიფტით მოხვედრა, ბ5 და ბ-კ ღერძების კვეთასთან კოლონასთან დამატებით მოწყობილია მონოლითური კედელი. +32.55 ნიშნულიდან ვხვდებით ბ1-ბ2 მონაკვეთში მდებარე კიბის უჯრედზე, ბ5 ღერძზე ბ-კ – ბ-I მონაკვეთში გაუქმებულია კარის ღიობი

„ა" ბლოკის „ა" კორპუსი:

მონოლითური და სამშენებლო ბლოკის კედლები დაფერილია ერთ ფერში, რის გამოც ვერ ხერხდება კედლების მასალის იდენტიფიცირება. შეცვლილია ბინების რაოდენობა. "ე" და "5" ღერძების კვეთასთან შეცვლილია აივნის გაბარიტი. ფასადებზე დამატებით მოწყობილია გამწოვი მილებისთვის განკუთვნილი ღიობები და გამწოვი მილები. ფასადებზე ხის დეკორატიული ძელების ნაცვლად მოწყობილია ხის ფაქტურიანი პანელები. გეგმა -6.60 ნიშნულზე: პერიმეტრის კედლებში დამატებით მოწყობილია ღიობები "ა" და "ბ" ბლოკის პარიკირებებს შორის დამაკავშირებელი. "4" ღერძზე "პ-ო" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კედელი. "1" და "8" ღერძებზე რიგელების ნაწილი არ ფიქსირდება. გეგმა -3.30 ნიშნულზე: "ო-პ" მონაკვეთში სამანქანო პანდუსის დახრა შეადგენს 17-23 პროცენტს. გეგმა ±0.00 ნიშნულზე: კომერციულ ფართებში არ არის მოწყობილი ანტრესოლები და მათთვის განკუთვნილი კიბეები. შეცვლილია სართულის სიმაღლე. "6-7" მონაკვეთში "7" ღერძის მიმდებარედ ვიტრაჟში დამატებით მოწყობილია გამყოფი კედლები. "6" ღერძზე "დ-გ" მონაკვეთში ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია კედელი. "9" ღერძის მიმდებარედ "პ-მ" მონაკვეთში შეცვლილია კედლების გაბარიტი. "კ-ლ" მონაკვეთში "1" ღერძის მიმდებარედ კედელში დამატებით მოწყობილია ვიტრაჟი. "ა" ღერძის მიმდებარედ გაზრდილია პერიმეტრის კედელსა და კოლონებს შორის მანძილი. "დ-ბ" მონაკვეთში "ა" ღერძის მიმდებარედ ვიტრაჟზე მოწყობილ პანელს მონაცვლებული აქვს ადგილი. ხოლო "ე" და "ზ" ღერძების მიმდებარედ პანელები არ არის მოწყობილი. გეგმა +9.30 ნიშნულზე: "თ-ზ" "1-2" მონაკვეთში ფილაზე და რიგელზე დარღვეულია ბეტონის საფარის მთლიანობა. გეგმა +12.75 ნიშნულზე: "4" და "ე" ღერძების მიმდებარედ პერიმეტრის კედლებზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები.
გეგმა +121.65 ნიშნულზე: "ე-ბ" "6-8" მონაკვეთში მდებარედ საზაფხულო ფართზე კონსტრუქციის მასალა ლითონის სვეტები და პერგოლები არ არის დაფერილი განსხვავებულ ფერში (დაფერილია მონოლითური სვეტების ფერში). გეგმა +124.94 ნიშნულზე: დამატებით მოწყობილია სავენტილაციო დანადგარები. "ე" ღერძის მიმდებარედ "3-4" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სავენტილაციო შახტები. კიბის უჯრედის ოთახებში დამატებით მოწყობილია კოლონები. სამანქანო ოთახებისთვის განკუთვნილი კიბეები და ღიობები გაუქმებულია და თითო უჯრედში მოწყობილია ერთი საერთო კიბე ბაქნით. კიბის უჯრედებში და ლიფტის შახტებში არ არის სრულად მოწყობილი სავენტილაციო შახტები. "კ-მ" მონაკვეთში შეცვლილია კიბის

უჯრედის ოთახის გაბარიტი. და გაუქმებულია კარი "3"' და "კ" ღერძების კვეთასთან. "ა-პ" ფასადი: "კ-ლ" მონაკვეთში ფასადის სიბრტყიდან იკვეთება ფილის კონტურები. +12.75 ნიშნულზე "კ" ღერძის მიმდებარედ ღიობში ლითონის ცხაურას ნაცვლად მოწყობილია ლითონის გისოსი. "1-9" ფასადი" "5" ღერძის მიმდებარედ შეცვლილია ფასადის მოპირკეთების მასალა და ფერი. "9-1" ფასდი: +16.05 ნიშნულზე "6-5" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კონდიციონერი. "პ-ა" ფასადი: "კ-ი" მონაკვეთში +52.35 ნიშნულზე აივანი შემინულია. +22.65 ნიშნულზე "ლ-კ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კონდიციონერი. "თ" ღერძის მიმდებარედ გაუქმებულია დეკორატიული ელემენტები

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. სს ,ნიუ დეველოპმენტი" და ი.ბ.ა **„ოლიმპიური ვარსკვლავი"** დაჯარიმდეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით ქ. თბილისში, ქუჩა შარტავა №43 (ნაკეთი №15/69) №01.10.13.015.069 საკადასტრო კოდზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06.08.2024წ. №7168145 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის („ა" ბლოკის „ა" და „ბ" კორპუსი).

2. **სს ნიუ დეველოპმენტ"-ს და ი.ბ.ა „ოლიმპიური ვარსკვლავ"-ს** დაეკისროს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **სს ნიუ დეველოპმენტ"-ს და ი.ბ.ა „ოლიმპიური ვარსკვლავ"-ს** დაეკისროს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის უფროსი გოგი ჩიქოვანი